პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 158
(7469)

16 1983 წ.
აგვისტო
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

დისციპლინა წარმატების ბერკეტია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებაში „სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობის გაძლიერების შესახებ“ ნათქვამია: „სოციალისტური შრომის დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცება იმის უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომ წარმატებით სრულდებოდეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმები, მაღლდებოდეს სახალხო მეურნეობის ეფექტიანობა, კიდევ უფრო მტკიცდებოდეს სოციალისტური ცხოვრების წესის საფუძვლები, მაღლდებოდეს მასების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობა“.

სათანადო დისციპლინის გარეშე, აღნიშნა ი. ვ. ანდროპოვმა, ჩვენ სწრაფად წინ ვერ წავალთ...

მტკიცე დისციპლინა რომ სპორტშიც მიღწევებს განაპირობებს, ეს ყველასთვის კარგადაა ცნობილი. პირველ რიგში ადამიანთა პასუხისმგებლობის გრძნობას საკუთარი თავისადმი გაზრდილი მოთხოვნილება ქმნის, სხვა არაფერი, ეს კი მუდმივი ძიებისა და მიღწეულის გამრავლების სურვილს ბადებს, რაც ხშირად ტიტანურ და თავდაუზოგავ შრომას მოითხოვს. ყველაფერი ეს მაშინღა ხდება საჩინო, როცა მოპოვებულია დიდი გამარჯვება, გაუმჯობესებულია მორიგი რეკორდი.

მტკიცე დისციპლინა მარტო დარბაზში ან აუზში დროზე მოსვლა როდია. დისციპლინირებული ადამიანი მიღწეულით არასოდეს არაა კმაყოფილი, რადგან იცის, რომ შეეძლო უფრო მეტი...

„აუცილებელია, რომ თითოეულ კოლექტივში, — ნათქვამია დადგენილებაში, — ჩამოყალიბდეს მაღალი მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის ატმოსფერო“. ალბათ სწორედ ასეთი პასუხისმგებლობით ეკიდება თითოეულ წვრთნას, თითოეულ მეცადინეობას ჩვენი შესანიშნავი მოცურავე ი. გერასიმოვა, რომელმაც ახლახან სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის სტარტებში ოქროს მედლების სარეკორდო რაოდენობა მოიპოვა. ნუ დაგვავიწყდება, რომ ირინე მოსკოვის აუზში კანადის მსოფლიო უნივერსიადის შემდეგ გამოვიდა და ედმონტონში გამომსვლელ სხვა თანაგუნდელებთან შედარებით ყველაზე კარგი შედეგები აჩვენა. ახლა იგი მონდომებით და გატაცებით ემზადება ევროპის პირველობისათვის. ყველა დაგვეთანხმება, რომ მკაცრი დღის რეჟიმისა და მაღალი დისციპლინის გარეშე ი. გერასიმოვა, რაგინდ კარგი მონაცემებიც არ უნდა ჰქონოდა მას, დღეს, როცა ასე გაზრდილია მოთხოვნები სპორტში, კერძოდ ცურვაში, ასეთ წარმატებებს ვერ მიაღწევდა.

აი, საწინააღმდეგო მაგალითიც: შარშან ახალგაზრდული საკავშირო თამაშების მონაწილე, ჩვენი რესპუბლიკის მოკრივე გაიბოლიევი შეჯიბრების წინ დათვრა და სასტუმროში დებოში ატეხა. საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიამ მას ჩამოართვა სპორტის ოსტატის წოდება და სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა. მაგრამ საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობამ სპარტაკიადის მზადების დღეებში ამ უდისციპლინო მოკრივეს კვლავ რესპუბლიკის ღირსების დაცვა მიანდო და იმ მოტივით, გაიბოლიევი ნიჭიერი მოკრივეა და თავის სიტყვას იტყვის რინგზეო, ნაკრებში შეიყვანა. ეს სპორტსმენი გამოეთიშა ასპარეზობას. საკუთარი თავისადმი მეტი მომთხოვნელობა რომ გამოეჩინა, უდავოა, წარმატებით გააგრძელებდა ასპარეზობას.

„უქნარებმა, ლოთებმა, წამგლეჯებმა და ფრენიებმა, — ნათქვამია დადგენილებაში, — თავის თავზე რეალურად უნდა იგრძნონ საბჭოთა კანონის ძალა და საზოგადოებრივი აზრი. ეს არის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა საზოგადოების ყველა რგოლის მოქმედებისა, ადამიანთა ქცევისა. ყველამ თავისი შრომის უბანზე პატიოსნად და კეთილსინდისიერად უნდა მოიხადოს ვალი“.

საბჭოთა ალპინიზმის 60 წლისთავისთვის

ასე დაიწყო

ახლა, როცა საბჭოთა ალპინიზმის 60 წლისთავი ახლოვდება და კიდევ ერთხელ ვიხსენებთ ჩვენი ქვეყნის მთამსვლელობის ისტორიას, გული სიამაყით გვევსება, რამეთუ მწვერვალთა დალაშქვრის მატიანეს ქართველმა სპორტსმენებმა მისცეს დასაბამი ჩვენს მშობლიურ კავკასიონზე.

საბჭოთა ალპინიზმის აკვანი მყინვარწვერზე (5043 მ) დაირწა 1923 წლის 28 აგვისტოს, როცა ჩვენი სასიქადულო მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და სპორტსმენი, პროფესორი გიორგი ნიკოლაძე ყაზბეგელ მეგზურთან იაგორ კაზალიკაშვილთან ერთად სათავეში ჩაუდგა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტ-მასწავლებელთა ჯგუფს და მწვერვალი დაიპყრო.

„... ეს მწვერვალია, — წერს გიორგი ნიკოლაძე, — მოწინავეებმა საფეხურების ჭრას თავი დაანებეს და პირდაპირ ზევით აირბინეს...

მაშ მიზანი მიღწეულია... ასრულდა მრავალი წლის ოცნება. მრავალი დღის შრომა და მზადება ასე ბრწყინვალედ დაგვირგვინდა! ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა...

როგორ აღვწერო ადამიანის სულიერი მდგომარეობა მიუწვდომელი მწვერვალის მიღწევის დროს. ეს ხომ სრულიად შეუძლებელია. ამას მხოლოდ ის გაიგებს, ვინც თვითონ ყოფილა ასეთ წუთებში. უძლეველი სიძლიერის და სიამაყის გრძნობა მთელ არსებას იტაცებს. ჩვენ კი ბევრი რამ გვაქვს საამაყო: მწვერვალზე 18-ნი ვართ...“

მყინვარწვერზე ამსვლელთა შორის იყვნენ ქალებიც — მარიამ ბეჟანიშვილი, ელენე ლორთქიფანიძე, ასმათ ნიკოლაიშვილი, მარიამ ტყავაძე და ლიდა ჩხეიძე.

ამ ასვლამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია. მთამსვლელობის მცოდნენი გაოცებულნი იყვნენ ამ ასვლის მასობრიობით, რომლის მსგავსი ალპინიზმის ისტორიას არ ახსოვდა.

ასეთი იყო ქართული და საერთოდ, საბჭოთა ალპინიზმის თავფურცელი. მას შემდეგ ქართველმა მთამსვლელებმა ბევრი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს ალპინიზმის ისტორიაში. 1949 წლიდან, როცა საკავშირო ჩემპიონატებს ჩაეყარა საფუძველი, ქართველმა მთამსვლელებმა მოიპოვეს თერთმეტი პირველი, ათი მეორე და ექვსი მესამე ადგილი.

საქართველოს მთამსვლელთა დიდი გამარჯვებები მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო, ერთი მხრივ, ჩვენი მთების სიახლოვით, მეორე მხრივ — ქართველ მთიელთა (სვანების, რაჭველების, მოხევეების, ხევსურების, თუშების) მთამსვლელური ჩვევებით, რომლებსაც ფესვები უხსოვარ დროში აქვს გადგმული.

სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში განმარტებული აქვს ბევრი ისეთი სიტყვა, რომელიც დღევანდელ ალპინიზმში საბასდროინდელი მნიშვნელობით იხმარება. მაგალითად, „წრიაპი“ — „ეს არის რკინა შემზადებული კბილებიანი, ტერფთა ამოსაკრავად, რათა ფრიალოსა მავალსა კაცსა ფერხი არა მოუცურდეს“. ან კიდევ „წერაქვი“ — დღევანდელი წერაყინი — საბას განმარტებით არის „ცალგნით სათხრელი აქუნდეს კიდეთ დასარღვევად“.

ჩვენს წინაპრებს უხსოვარ დროშიაც რომ ჰქონდათ მთაში სიარულის ჩვევები, ამაზე მეტყველებს მრავალი ლეგენდა, ლეგენდებში კი ხშირად ხომ სიმართლის ანარეკლია. ყოველ შემთხვევაში, ქართულ მითოლოგიაში გვხვდება მთაში სიარულის გამოცდილების ამბები, ეს კი შემთხვევითი არ უნდა იყოს.

მითოლოგიური ამირანის მამას, როცა მთაში სანადიროდ წასულა და ფრიალო კლდესთან გასჭირვებია, რკინის იარაღი მოუმარჯვებია, საფეხურები გაუჭრია და მწვერვალზე ასულა.

ძველი ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი, როცა სვანეთის ყოფა-ცხოვრებას აღწერს, ამბობს: „... მწვერვალები ზამთრობით გაუვლელია, ხოლო ზაფხულობით ადიან ფეხებზე ლურსმნებით დაჭედილი დამუშავებული ხარის ტყავებამოკრულები... ხოლო ეს ტყავები სიფართოვით დაფის ოდენაა, და აკეთებენ ამას თოვლისა და ყინულის გამო...“

დავით აღმაშენებლის თანამედროვე მემატიანე მოგვითხრობს ამბავს, თუ როგორ შემოესია საქართველოს თურქ-სელჯუკთა ლაშქარი. იმ დროს ქართველთა მეფე აფხაზეთში იყო დაზამთრებული. დავით აღმაშენებელი „წარმოვიდა მსწრაფლ აფხაზეთით თოვლითა საშინელითა, გარდაათხრევინა მთა ლიხისა, სადა ნაკუეთსა თოვლისასა აქუნდა სიმაღლე მხარი სამი“.

საქართველოს ისტორიიდან მრავლად შეიძლება გახსენება ასეთი მაგალითებისა, რომლებშიც დოკუმენტურად მოთხრობილია ჩვენი წინაპრების მთაში თუ მთის წვერზე სიარულის გამოცდილება.

იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ნათქვამია, მღვდელი იოსებ მოხევე მყინვარწვერზე ავიდაო.

მოხევეთა გადმოცემით, მყინვარწვერზე ძმისწულთან ერთად ასულა ბერი მამუკაც, რომლის სიტყვები, ანუ მწვერვალის აღწერილობა, დღემდე ახსოვთ მოხევეებს. მამუკას უთქვამს: „მთის წვერი საგანგებოდ გადაპრილსა ჰგავს და წარმოადგენს კალოსავით მრგვალ და ხელის გულივით სწორ ვაკეს. მწვერვალი „წვრილის“ თოვლით არის შეფერილი ისე, რომ გეგონება, თოვლის კორკოტი ჰყრიაო“. ზუსტად ასეთია მყინვარწვერი.

ა. გურასაშვილი,
(საქინფორმი).

• • •

სურათებზე: ზევით — მიზანთან ახლოს; მწვერვალისკენ.
საქინფორმის ფოტოქრონიკა.

გაიხსნა პანამერიკული თამაშები

ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში ამ ქვეყნის პრეზიდენტმა ანტონიო ერერა კამპინსმა საზეიმოდ გახსნა მეცხრე პანამერიკული თამაშები. ამ ტრადიციულ ასპარეზობაში ამჯერად ჩრდილო, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის 35 ქვეყნის წარმომადგენელი გამოვა.

საზეიმო გახსნამდე, რამდენიმე საათით ადრე 30 ათასი მაყურებლით შეივსო ოლიმპიური სტადიონის ტრიბუნები. პანამერიკული თამაშების ცეცხლი აანთო ცნობილმა ვენესუელელმა მოკრივემ ფრანსისკო როდრიგესმა.

მიუხედავად იმისა, რომ თვით შეჯიბრება ჯერ არ დაწყებულა, უკვე არის პროტესტი. უცხოეთის ინფორმაციის სააგენტოების ცნობით, არგენტინამ განაცხადა, რომ აშშ-მ სამი პროფესიონალი ჩოგბურთელი წარმოადგინა ამ თამაშებზე. ესენია ე. კორიტა, მ. რაში და ლ. ალენი, რომლებიც პროფესიონალ ჩოგბურთელებში ირიცხებიან.

● ჭადრაკი

კარპოვი დაეწია გიორგაძეს

ჰანოვერში გრძელდება გფრ-ის ვაჟთა ღია ჩემპიონატი, რომელშიც 8 ქვეყნის 16 მოჭადრაკე მონაწილეობს.

სტარტიდან ლიდერობისთვის ბრძოლა გაჩაღდა მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვსა და თბილისელ დიდოსტატ თამაზ გიორგაძეს შორის. VI ტურში ქართველი მოჭადრაკე ყაიმს დასჯერდა. კარპოვმა კი სძლია ფილიპინელ დიდოსტატ ე. ტორეს. VII ტურში გიორგაძე დაუზავდა ჩინელ ჩენ დენს, კარპოვმა კი კვლავ გაიმარჯვა, ამჯერად მ. გლინკასთან (გფრ).

7 ტურის შემდეგ ა. კარპოვსა და თ. გიორგაძეს 6-6 ქულა აქვთ. ი. ბალაშოვს — 5. მან ბოლო ორი შეხვედრა მ. ნაიდორფთან (არგენტინა) და ლ. კავალექთან (აშშ) ყაიმით დაამთავრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიკური კულტურა და სპორტი— ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაში!



რუსთავში 30-ზე მეტი ბაგა-ბაღია. ზაფხულის ცხელ დღეებს პატარები ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კურორტზე ატარებენ, მაგრამ ქალაქშიც დარჩნენ მორიგე ბაღები, სადაც მუშაობა ჩვეულებრივად მიმდინარეობს. ერთ-ერთი ასეთია №5 ბაგა-ბაღი (გამგე ნ. დარაშვილი). აქ ყველა პირობაა შექმნილი ნორჩთა ორგანიზმის გასაკაჟებლად. ბაღის ვრცელ ტერიტორიაზე განლაგებულია სპორტული მოედნები, ტანვარჯიშის დვირი და სახტომი ორმო, ვარჯიშისა და თამაშის შემდეგ ბავშვებს საშხაპეც ელით, მაგრამ ზაფხულის ცხელ დღეებში აღსაზრდელებს გული მაინც საცურაო აუზისკენ მიუწევთ. საჭყუმპალაოში ყოველთვის ისმის პატარების გულიანი სიცილი, აქ მათთან ერთად ცურავენ „ნიანგები“, „პეპლები“, „თევზები“.

რ. გაბრიჭიძე.

• • •

სურათებზე: რუსთავის №5 ბაგა-ბაღში.

ავტორის ფოტოები.

---

18 სექტემბერი ქართული ჭიდაობის დღეა

ქართველი ფალავნები და ილიასეული „ივერია“

დიახ, 18 სექტემბერი ქართული ჭიდაობის დღეა. ჩვენი გაზეთის თაოსნობას მხარი დაუჭირა საქართველოს სპორტკომიტეტმა და აი, კიდევ ერთ კარგ ტრადიციას ეყრება საფუძველი. ეროვნული სპორტის ამ დიდ დღესასწაულამდე ერთ თვეზე ცოტა მეტი დარჩა, მაგრამ რესპუბლიკის ქალაქებში და რაიონებში, უკვე გაცხოველებით ემზადებიან ამ ღონისძიებისთვის. 18 სექტემბერი ქართული ჭიდაობის ზეიმად უნდა იქცეს! — ასეთია მკითხველთა წერილებში გამოთქმული საერთო აზრი.

ჩვენ კიდევ ერთხელ მივმართავთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ქართული ჭიდაობა, საერთოდ, ქართული სპორტი. გულდაგულ მოვემზადოთ 18 სექტემბრისთვის, მოვამზადოთ ფალავნები და ჩოხები, ნახერხმოყრილი სარბიელები და პრიზ-მედლები, მეზურნეები და გულშემატკივრები. ყველაფერი ისე გავაკეთოთ, როგორც ქართულ ჭიდაობას მოუხდება და ეკადრება, როგორც ჩვენი ეროვნული სპორტის დღესასწაულს შეჰფერის; დავამზადოთ აფიშები, ლოზუნგ-პლაკატები, მოვიწვიოთ სტუმრები, ტელევიზია, რადიო, პრესა, შევაჯიბროთ სოფელი სოფელს, ქალაქი ქალაქს, გამოვცადოთ ვეტერანებიც და ახალგაზრდებიც.

დღეიდან ჩვენ სისტემატურად გამოვაქვეყნებთ წერილებს ქართულ ჭიდაობაზე, მის წარსულზე, მოგითხრობთ სახელგანთქმულ ქართველ ფალავანთა საინტერესო შერკინებებზე. სწორედ ამ თემას ეხმაურება წერილი, რომელსაც დღეს გთავაზობთ.

ილიასეული „ივერია“ საკმაოდ დიდ ადგილს უთმობდა ქართულ ჭიდაობას, მკითხველებს აცნობდა ისეთ გამოჩენილ ფალავნებს, როგორებიც იყვნენ გლდანელი, ესებუა, ხიზაბავრელი და სხვები.

ვფიქრობთ, ქართული ჭიდაობის მოყვარულთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება იმ მასალის მიმოხილვა, რომლებიც მოგვითხრობენ ამ განთქმულ მოჭიდავეებზე.

აი, რას წერდა „ივერია“ (№188) 1886 წელს გლდანელსა და ესებუას შორის გამართული ჭიდაობის შესახებ: „კვირას, 31 აგვისტოს, იტალიის ბაღში ჭიდაობა გაიმართა. ამ ჭიდაობას ბევრი ხალხი დაესწრო. შემოსავლის ერთი ნაწილი წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ იყო გადადებული. ჯერ, როგორც ყოველთვის არის ხოლმე, აჭიდავეს პატარები და შემდეგ კი ჯერი გლდანელსა და მის მოწინააღმდეგეზე მიდგა. გლდანელს ეჭიდავებოდა ახალგაზრდა ყმაწვილი-კაცი, მეგრელი აზნაურიშვილი ესებუა, რომელიც ერთხელ უკვე დასჭიდებოდა ბათუმში და ვერც ერთს ვერ წაექცია. ესებუა სულ 23-24 წლის ყმაწვილი-კაცია, წარმოსადეგი, ლამაზის შეხედულობისა. გლდანელს მას შემდეგ, რაც ჭიდაობს, ორმოცამდე კაცი გაულახავს, ორმოცამდესთან უჭიდავნია, მაგრამ ჯერ ესებუასთანა მოჭიდავე არ გამოჩენია. მოჭიდავეთ დიდხანს იბრძოლეს, გლდანელმა სამჯერ ზურგული უყო და წააქცია, მაგრამ სამჯერვე სხარტი მეგრელი ქვემოდამ ეცლებოდა და ზურგს იბრუნებდა. მესამეზედ ზურგზედ დასცა გლდანელმა, მაგრამ მესამედაც გადაუბრუნდა, ქვეშიდან ხელი ჰკრა გლდანელს და პირ-ალმა გადააქცია. გლდანელი მაშინვე ფეხზედ წამოხტა, მიეხვია იმდენი ხალხი და გაჩნდა ერთი აყალ-მაყალი. ზოგი ამბობდა, რომ ესებუამ წააქციაო და ზოგს გლდანელი გამოჰყავნდა გამარჯვებული. ასე რომ, ხალხის აზრით, გადაწყვეტილი გამარჯვება არც ერთს არ დარჩომია, ამათს ჭიდაობას მომავალ კვირაშიაც მოელის ხალხი. ჭიდაობაზედ ბევრი ქართველი თავად-აზნაურობაც დაესწრო“.

იმავე წელს „ივერია“ (№ 191) ამ ორი ფალავნის შესახებ წერდა: „ამ დღეებში ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი პატარა შენიშვნა გლდანელის და ესებუას ჭიდაობის თაობაზე, ერთი იქ დამსწრე ამ ამბავს კიდევ ასე მოგვითხრობს: ჯერ გლდანელმა ესებუა ორჯერ ზურგულით გადააგდო, მაგრამ პირალმა ვერ დასცა, გლდანელმა ვერას გზით ვერ დაიმორჩილა მოწინააღმდეგე; მძლავრი და მარდი მეგრელი ყოველთვის ზურგს იბრუნებდა ხოლმე. პირველად მეგრელმა გლდანელს ორივე მუხლები მიწას დააკვრევინა, მერმე იმ სიმსხო კაცი (როგორიც გლდანელია) ასწია და დაახეთქა მიწაზედ; დაიყვირეს ზოგიერთებმა: ეგ ჯერ არ არისო; ბოლოს ესებუამ ჩაავლო ხელი გლდანელს, როგორც ქორმა წიწილა, ისე აიყვანა, დაახეთქა მიწაზედ პირალმა და დააჯდა ზედ გულზედ. გლდანელი ბევრს იწვალა, უნდოდა გადაეგდო და მოეშორებინა მეგრელი, მაგრამ ვერ მოუხდა. დიდ-ხანს აწვა ესებუა გულზედ, ბოლოს მივიდნენ და გააშველეს. კულა დაღონებული დაბრუნდა, ესებუა კი აღიტაცეს და სულ მაღლა-მაღლა წამოიყვანეს გახარებული. მაშინ მოისმა ხალხში ხმა: „მოკვდა კულა“, „დაიმარხა გლდანელიო!“

მომდევნო ნომერში „ივერია“ კვლავ მიუბრუნდა ამ ორთაბრძოლას: „ეჭგერენ ერთმანეთს. გლდანელმა დაბერტყა პირველად ესებუა, ისე ძლიერ დაატრიალა, რომ ყველას ეგონა, მოსხლეტს დედამიწიდგან და ჰაერში აიტანსო, მაგრამ ბოლოს თავი შეიმაგრა ახალგაზრდა მოჭიდავემ და შორს გადააგდო გლდანელი, რომელიც პირ-ალმა და დათხებულად დაეცა.“— წამოხტა ზეზე, მოუბრუნდა გაბრაზებული ფალავანი და წამოიკიდა ზურგზე ესებუა; გადაიტანა კიდეც, ცალი გვერდი დააკვრევინა, მაგრამ ვერ დაიმორჩილა, თუმცა ყელში უჭერდა ხელს. ადგნენ და ხელ-მეორედ შეიბნენ; კიდევ გადაიტანა გლდანელმა პირველზე უფრო მარჯვედ, მაგრამ კიდევ ვერ დაიმორჩილა და ტყუილად სცდილობდა, რომ მისთვის სახე მოეგრიხა და ამითი მაინც დაემორჩილებინა. კიდევ წამოდგნენ და მესამედ შეუტიეს ერთმანეთს. მაშინ კი გათამამებული მეგრელი მივარდა ვეფხვივით და ცოტა ხნის შემდეგ წაიქცა გლდანელი. გამარჯვებულმა ორივ მხრებზედ ხელები დააჭირა და დაიმორჩილა“.

გარდა კულა გლდანელისა და ესებუასი, ქართულ ჭიდაობაში დიდი სახელი მოიხვეჭა დავით ხიზაბავრელმა, რომლის შესახებ გაზეთი „ივერია“ (№ 169) 1888 წელს წერდა:

„საქართველოში ბევრი გამოჩენილი მოჭიდავე ყოფილა, მაგრამ ხიზაბავრელისავით-კი სახელი არავის გაუთქვამს. ის, თითქმის, სახალხო გმირად გადაიქცა. ხელობით მეტივე იყო, ჯმუხი, მოკლე ხელ-მკლავებიანი, ცოტათი მოხრილი და დათვურად ნაკვთი. ტანზე, სადაც უნდა მოგევლოთ ხელი, იტყოდით თუ ხე არისო, ანუ ქვა და არა ხორციო. გამოდიოდა სათემოდ, დადიოდა დღეობებზე და ვინც გამოითხოვდა, მზად იყო შეჰბმოდა. თან ახლდა ხოლმე ერთი ან ორი ამხანაგი მეტივეთაგანი, რომ ვინიცობაა მარცხი რამ მოსვლოდა ჭიდაობაში, იმათ ეპატრონებიათ და სხვა ქომაგი და დამხმარე არავინ ჰყავდა და არც ეძებდა. ჭიდაობაში ფულს არ იღებდა, „დღეობაში ხალხი რითაც შეგიძლიან, უნდა შეაქციო და თვალის სეირი უჩვენოო“; იტყოდა ხოლმე, მაგრამ დიდკაცების საჩუქარს-კი არა სწუნობდა. ძალიან სათნო კაცი იყო და[illegible]გრძელი მოჭიდავე!..“

შემდეგ აღწერილია ხიზაბავრელისა და ერთი ახალგაზრდა კახელის ჭიდაობა:

„ერთი ახალგაზრდა კახელი ეჭიდებოდა ერთხელ, მაგრამ ტახივით გამოვარდნილი ხიზაბავრელი რომ დაინახა, შეშინდა და დაწვა... აღარ გეჭიდებიო!.. „შე ლაჩარო! ვინ ქართველი და ვინ შიშიო!.. მიაძახა: ადე, დამეჭიდე, თორემ მოგკლავო!..“ წამოაყენა და შეიბნენ. დიდხან იჭიდავეს, ახალგაზრდას გული მოეცა. ორჯელ მოუნდომა კისრული ხიზაბავრელს, მაგრამ ვერ გადაიტანა. ბოლოს დაიძახა ხიზაბავრელმა, გაგვაშველეთო, და გააშველეს. „კაი ბიჭი ყოფილხარ, ცოდვაა შენი გალახვაო“, წასჩურჩულა ხიზაბავრელმა და გადაჰკოცნა“.

გაზეთი „ივერია“ ამავე წერილში თავის მკითხველს აუწყებდა ხიზაბავრელსა და განთქმულ ათოლას შორის მთაწმინდაზე გამართული ჭიდაობის შესახებ:

„მთაწმინდაზე გამართეს ჭიდაობა. დიდ ძალი ხალხი მოაწყდა. გულ-მოსული ხიზაბავრელი მართლა რომ საუცხოვო სანახავი იყო: განთქმულ ათოლას აღარა გაუვიდა-რა საერო გმირთან და მოდრიკა ქედი ხიზაბავრელის წინ“.

ამავე წერილში კვლავ გრძელდება საუბარი გლადანელსა და ესებუას ჭიდაობაზე. აღსანიშნავია, რომ მათ ოთხჯერ უჭიდავიათ და საბოლოოდ კულა დამარცხებულა:

„მეოთხედ და უკანასკნელად იქით კვირას იყო დანიშნული იმათი ჭიდაობა. ბაღი ხალხით გაივსო, ტევა აღარსად იყო, გამოვიდა გატიტვლებული გლდანელი სარბიელზედ ლომივით და გაიბერტყა!.. თითქოს ძარღვებმა წკრიალი დაიწყესო!.. მართლა სასიამოვნო სანახავი იყო ეს ხელოვნურად ნაკვთი კაცი. მისი შემხედვარე იტყოდა თუ ხელოვნებით ჩამოსხმული ბერძნული სტატუა არისო, იმისი მაყურებელი ვერ წარმოიდგენდა, რომ გლდანელისათვის შეებედნა ვისმეს, ან გოლიათს, ან სპილოსა და ან ვეშაპს, ასე იპარავდა იმისი სიკარგე ადამიანის თვალს. ამ დროს მეორე კუთხით გაიპო ხალხი და გამოვიდა ერთი მაღალის ტანის გამხმარი ახალგაზრდა. ის იყო გლდანელის მეტოქე—ესებუა. გამოვიდა და, ცოტა ფერ-წასული, მიემართა გლდანელს.

შემოუტია გლდანელმა ისეთ ნაირად, რომ თითქოს ტყე და ველი თან მოაქვსო, მაგრამ მეგრელმა ჰკრა გულში ხელი და უკანვე გაისროლა. რამდენჯერმე გაუმეორა ეს ფანდი და ბოლოს-კი ეცნენ ერთმანეთს. არ გაუვლია დიდხანს, რომ გლდანელი ჰაერში შეტრიალდა და პირ-დალმა დაეშვა დედამიწაზე. ზეიდგან მოექცა ესებუა და დააჭედა ხმელზე. იწყო ფართხალი კულამ, როგორც კაკაბმა ქორის კლანჭებში, მაგრამ ვეღარა გააწყო-რა. ისეთ ნაირად აწვებოდა ზემოდგან მეგრელი, რომ კაცს ეგონებოდა, მიწა გამხმარი რომ არ იყოს, ქვესკნელში ჩააძვრენსო“.

დიახ, ასეთი პაექრობანი იმართებოდა ქართველ ფალავნებს შორის, ქართული ჭიდაობა უფრო და უფრო მეტ ინტერესს იწვევდა ჭიდაობის მოყვარულთა შორის.

ლ. კარბელაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

ძველი კლუბი დაუბრუნდებათ

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: ოთხი წელია ქუთაისს, მსოფლიო ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძისა და ცნობილი საერთაშორისო დიდოსტატის თამაზ გიორგაძის მშობლიურ ქალაქს, საჭადრაკო კლუბი არა აქვს. ქალაქის მესვეურებს სურდათ კლუბისათვის ახალი, თანამედროვე ტიპის შენობა აეგოთ და ძველი ამიტომ გააუქმეს. უფრო სწორად, იგი ჯერ „განთიადს“, მერე „სპარტაკს“ გადასცეს. საბოლოოდ ჭადრაკის მოყვარულები მაინც უკლუბოდ დარჩნენ. ცხადია, ამის გამო მდიდარი ტრადიციების მქონე ქუთაისის საჭადრაკო ცხოვრების მაჯისცემაც შესუსტდა.

ჭადრაკის ჭეშმარიტი ქომაგები ვერ შეურიგდნენ ასეთ მდგომარეობას, აივსო მათი მოთმინების ფიალა. მიმართეს, სადაც ჯერ არს. და აი, გაზეთმა „კომუნისტმა“ დასტამბა რ. დვალიშვილის ფელეტონი „გამსვლელი პაიკი“, რომელმაც ფართო საზოგადოებას აუწყა ქუთაისელ მოჭადრაკეთა გულისტკივილი.

ივლისში წერილი „ლელომაც“ მიიღო. რედაქციას წერდნენ და დახმარებას სთხოვდნენ ინჟინერი გ. სანებლიძე, პედაგოგი რ. ჯალაღონია, ექიმი ა. ცაგარეიშვილი და იურისტი შ. ქვანია.

აგვისტოს დამდეგს ვეწვიეთ ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს დავით წერეთელს და რედაქციაში შემოსული წერილი გავაცანით.

— უკვე მიღებულია დადგენილება დაუბრუნდეს მოჭადრაკეებს ძველი კლუბი წერეთლის ქუჩაზე, — გვითხრა მან. — კლუბი კვლავ ქალაქის სპორტკომიტეტს დაექვემდებარება. შენობას მალე დაცლიან სპორტსაზოგადოება „სპარტაკისა“ და „სპორტლოტოს“ მუშაკები, რომლებიც აქ იყვნენ შესახლებულნი.

როგორც იქნა მოგვარდა წლების მანძილზე გაჭიანურებული საკითხი.

— ახალი კლუბის აგებას ვფიქრობთ ქალაქის ცენტრში, კინოთეატრ „საქართველოს“ გვერდით. გვინდა ჩვენი დროისთვის შესაფერი „ჭადრაკის სახლი“ გვქონდეს. საპროექტო სამუშაოები წლის ბოლოსთვის უნდა დამთავრდეს, — თქვა დ. წერეთელმა.

თ. ვიორბაძე,
(„ლელოს“ სპეც. კორ.).
ქუთაისი-თბილისი.

ფეხბურთი-83 ფეხბურთი-83 ფეხბურთი-83 ფეხბურთი-83 ფეხბურთი-83

საფეხბურთო სეზონის ეკვატორზე

საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა დიდად შეშფოთებულია ჩვენი საუკეთესო გუნდების სატურნირო მდგომარეობით 1983 წლის საკავშირო გათამაშების I. წრეში. თბილისის „დინამო“ უმაღლეს ლიგაში მე-16 ადგილზე იყო 10 ტურის მანძილზე, ქუთაისის „ტორპედო“ — მეჩვიდმეტეზე, ხოლო ლანჩხუთის „გურია“ პირველი ლიგის 22 გუნდს შორის მე-18 ადგილზე იმყოფებოდა.

შედეგები მეტად სავალალოა. მართალია, სეზონის დამთავრებამდე დრო საკმარისადაა, მდგომარეობის გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლება, მაგრამ საამისოდ სამივე ჩვენს გუნდს არნახული დატვირთვით მოუწევს ბრძოლა, ძალების მაქსიმალური დაძაბვა, რათა სეზონის ფინიშისთვის ყველაფერი მოწესრიგდეს.

თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ამ ჩამორჩენის თაობაზე ბევრი ლაპარაკი იყო. რახან საქმე ეხება ქართული საფეხბურთო სკოლის ორი საუკეთესო წარმომადგენლის ბედ-იღბალს, საკავშირო პრესაში მრავალმა მიმომხილველმა გამოთქვა თავისი აზრი, სპეციალისტები ცდილობენ მიაგნონ თბილისელ და ქუთაისელ ფეხბურთელთა ამ უფერული თამაშის მიზეზებს, მაგრამ შორიდან მოთვალთვალე ადამიანი, რაგინდ კეთილმოსურნე და თანამგრძნობიც იყოს, სრული სიღრმე-სიგანით ვერ ჩაწვდება მოვლენათა ჭეშმარიტ არსს. ამიტომ სავსებით სამართლიანად მოგვაჩნია საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის 20 ივნისის სხდომის გადაწყვეტილება, სადაც განიხილეს თბილისის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოსა“ და ლანჩხუთის „გურიის“ კოლექტივებში შექმნილი მდგომარეობა, გამოააშკარავეს დაშვებული შეცდომები, დასახეს სათანადო ღონისძიებები.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ სერიოზული შეცდომები, ხანგრძლივი ჩავარდნა მათი ხელმძღვანელების არასწორი საქმიანობის პირდაპირი შედეგია. ნაყოფიერი არ იყო წინასასეზონო, მოსამზადებელ პერიოდში ჩატარებული მუშაობა, მწვრთნელებმა ვერ შეძლეს ერთიანი სულისკვეთებით გამსჭვალული, მონოლითური კოლექტივების შექმნა, თითქმის მთელი პირველი წრის მანძილზე ვერ დადგინდა გუნდების სტაბილური, ოპტიმალური შემადგენლობა, მოთამაშეთა განუწყვეტელი ცვლა აშკარად მეტყველებდა იმაზე, რომ მწვრთნელები რიგიანად არ იცნობდნენ თავიანთ ფეხბურთელებს, მათს შესაძლებლობებს, დადებით და ნაკლოვან მხარეებს. მართლაც, როცა უმაღლესი ლიგის კალენდარულ მატჩში დღეს ერთი შემადგენლობა გამოდის, ხვალ მეორე და ზეგ— მესამე. ცხადია, ნორმალურ შეთამაშებაზე და ტაქტიკურ მთლიანობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

თბილისის „დინამოდანაც“ და ქუთაისის „ტორპედოდანაც“ წლეულს წავიდა ძველი, გამოცდილი მოთამაშეების მთელი წყება, მათმა ახალგაზრდა შემცვლელებმა ვერ შეძლეს დანაკლისის ჯეროვანი კომპენსაცია, ხოლო გუნდებში დარჩენილმა ვეტერანებმა ვერ გამოიჩინეს ის მაორგანიზებელი, შემაკავშირებელი თვისებები, რაც მათ უშუალოდ ევალებოდათ.

გუნდების დაკომპლექტების სიძნელეებმა გამოიწვია სათამაშო დისციპლინის დაქვეითება, სისტემატურად არღვევდნენ წესრიგს ქუთაისის ტორპედოელები, რის გამოც ზოგიერთმა მათგანმა დისკვალიფიკაციაც დაიმსახურა და გამოტოვა ჩემპიონატის მეტად პასუხსაგები მატჩები. დისციპლინას არღვევდნენ თბილისის „დინამოსა“ და ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელებიც. მტკიცე წესრიგი კი, ცნობილია, სპორტული წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი საწინდარი და პირობაა.

სპორტკომიტეტის კოლეგიაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ფეხბურთელთა გადაყვანა თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შორის ბოლო წლების მანძილზე ყოველთვის არ იყო პროფესიულად დასაბუთებული და რიგიანად მოფიქრებული. მოთამაშეთა გაუმართლებელი გადაყვანა ერთი გუნდიდან მეორეში ასუსტებს და ვნებს ორივე კოლექტივს.

საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის დადგენილება გაზეთ „ლელოში“ გამოქვეყნდა მიმდინარე წლის 30 ივნისს (№ 125), იქ სამივე ჩვენი გუნდის ჩავარდნის ბევრი სხვა მიზეზიცაა მითითებული, მაგრამ თბილისის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოსა“ და ლანჩხუთის „გურიის“ გულშემატკივრებს გვინდა შევახსენოთ ზოგიერთი ამბავი არც თუ ისე შორეული წარსულიდან და მათი ანალოგიით გამოვიტანოთ ოპტიმისტური დასკვნები:

1975 წელს თბილისის „დინამოს“ ასეთივე მძიმე მდგომარეობა ჰქონდა საკავშირო ჩემპიონატში და 16 მონაწილეს შორის კარგა ხანს მე-14 ადგილზე იმყოფებოდა. შემდგომში კოლექტივში საქმეები გამოსწორდა და 1976 წლიდან მოყოლებული 7 სეზონის მანძილზე ჩვენი გუნდი ერთ-ერთი უძლიერესი იყო ჩვენს ქვეყანაში, მისი საუკეთესო მიღწევებიც სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის. ამიტომ ახლაც ნუ გადავიწურავთ იმედს. გუნდში არიან მაღალი კლასის გამოცდილი მებრძოლებიც და ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელებიც, რომლებმაც ადრე თუ გვიან უნდა თქვან თავიანთი სიტყვა, დაუბრუნონ გუნდს ძველი დიდება. სხვათა შორის, ამ აზრისა არიან საქმის ისეთი მცოდნე სპეციალისტებიც, როგორებიც არიან მ. იაკუშინი, გ. კაჩალინი, ა. სტაროსტინი, ა. სევიდოვი, ვ. პონედელნიკი, ლ. ფილატოვი და სხვანი, რომლებსაც არც ეეჭვებათ, რომ თბილისის „დინამო“ აუცილებლად დაალწევს თავს ჩამორჩენას და ისევ ჩადგება საუკეთესოთა რიგებში.

ქუთაისის „ტორპედომ“ ამ ორი წლის წინ მოიპოვა უმაღლეს ლიგაში დაბრუნების უფლება. ეს დიდი ზეიმი იყო მთელი ჩვენი ფეხბურთისთვის. 1981 წლის სეზონის დასაწყისში, სიმართლე რომ ითქვას, ძნელი საფიქრებელიც იყო ტორპედოელები ასეთ დიდ წარმატებას რომ მოიპოვებდნენ, მაგრამ თვით გათამაშების მსვლელობაში, განსაკუთრებით ფინიშზე შეიქმნა უმაღლეს ლიგაში გადასვლის რეალური პერსპექტივა და ქუთაისელმა ფეხბურთელებმაც არ გაუშვეს ხელიდან ეს ხელსაყრელი შანსი. ამავე დროს, ქუთაისი რეგულარულად აწვდის მაღალი კვალიფიკაციის ფეხბურთელებს თბილისის „დინამოს“. ჩვენი აზრით, ტორპედოელებმა წლეულს თავიანთი მაქსიმალური შესაძლებლობით და თავგანწირვით ვერ ითამაშეს საკუთარ მინდორზე „მეტალისტთან“, „ჟალგირისთან“, „ნისტრუსთან“, „ჩერნომორეცთან“, ყოვლად გაუგებარი და აბსურდული იყო დიდი ანგარიშით მარცხი ცსკა-სთან. ჩვენი აზრით, ქუთაისელებს ამ მატჩებში აუცილებლად უნდა აეღოთ რამდენიმე ქულა. ახლა საქმეს ისიც ართულებს, რომ „ტორპედოს“ ფრეთა მარაგიც უკვე ეწურება, ჩვენმა გუნდმა უნდა იბრძოლოს მხოლოდ გამარჯვების, მხოლოდ მოგებისთვის. საჭიროა განმტკიცდეს დისციპლინა, მთელი კოლექტივი ერთსულოვნად დაირაზმოს მეტად ძნელი ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად, უნდა იბრძოლოს ღირსეულად, არნახული შემართებით.

ასეთივე ძნელი ამოცანებია დასახული ლანჩხუთის „გურიის“ წინაშე. რესპუბლიკას რომ ადგილი აქვს I ლიგაში, ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი, საჭირო ამბავია. ამ გუნდში გაიარეს საბრძოლო სკოლა აბუსერიძემ, ჰედიამ, კოპალეიშვილმა, ქორქიკაშვილმა, სანიკიძემ და სხვა ფეხბურთელებმა, ბევრი მათგანი შემდეგ სხვა გუნდებში გადაიყვანეს, სანაცვლოდ კი „გურიას“ მიაწოდეს ცნობილაძე, გილიგაშვილი, ვერულაშვილი, კიკნაძე, აკოფიანი, ლომინაძე, უგრელიძე, ფრიდონიშვილი. ფაქტია, რომ ფეხბურთელთა გადასვლის რეგულაციისთვის, მათი საბრძოლო კლასის ამაღლებისთვის „გურია“ გარკვეულ როლს ასრულებს რესპუბლიკის საფეხბურთო ცხოვრებაში, ამას გარდა, თვით ლანჩხუთისა და ახლომდებარე რაიონების სპორტის მოყვარულები უკვე შეეჩვივნენ დიდი საკავშირო მნიშვნელობის შეჯიბრებებს და ამდენად I ლიგის გუნდი აქ ახლა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

„გურია“ I წრის შემდეგ მე-18 ადგილზე იყო. აქ, ცხრილის ბოლოში, დიდი სიმჭიდროვეა, ამიტომ ბრძოლა გათამაშების ფინიშზე კიდევ უფრო დაიძაბება და გართულდება, საჭიროა თავგამოდებული, ენერგიული ბრძოლა.

აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ერთი მეტად არასახარბიელო მოვლენა, რომელიც ძალზე უარყოფითად მოქმედებს ლანჩხუთელთა შედეგებზე. „გურია“ ერთადერთი გუნდია I ლიგაში, რომელსაც პირველ წრეში არც ერთი (!) ქულა არ აუღია სტუმრად ჩატარებულ მატჩებში. 10 შეხვედრა — 10 მარცხი, სულ 4 გატანილი ბურთი და 29 (!) მიღებული. თავის სტადიონზე კი „გურიამ“ 11 მატჩი ჩაატარა, რომელთაგან 7 მოიგო (გატანილი და მიღებული ბურთები 17:10).

დასკვნა ერთია: ლანჩხუთელებმა მეტოქეთა მინდვრებზეც სრული ძალით უნდა ითამაშონ, მონდომება არ დაიშურონ და აუცილებლად მოიცილონ „შინაური“ გუნდის ეს მეტად უმგვანო რეპუტაცია.

სეზონის პირველი ნახევრის მიმოხილვის დასასრულს გვინდა რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვათ მსაჯობის შესახებ. ეს ახლა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხია ჩვენს ფეხბურთში. ყველამ ვიცით, რომ კვალიფიციურ, ობიექტურ მსაჯობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

ფეხბურთის მსაჯობა, თავისთავად, მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. გულშემატკივრები, ალბათ, დაგვეთანხმებიან, რომ თვით ესპანეთის შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზეც კი, სადაც თავი მოუყარეს ყველაზე მაღალი კვალიფიკაციის არბიტრებს, აღიარებულ ავტორიტეტებს, ყველაფერი რიგზე არ იყო, მრავალი უხეში შეცდომა ჰქონდათ ცნობილ მსაჯებს.

სამწუხაროდ, ჩვენშიც ასეა ჯერჯერობით. წლეულს სერიოზული შეცდომები ჰქონდათ ისეთ გამოცდილ არბიტრებს, როგორებიც არიან ვ. ბასკაკოვი, ვ. ბუტენკო, ო. ჩინენოვი, ნ. სტუპარი, ვ. ბოგომაზოვი, ა. გალიკოვი და სხვანი, რომლებსაც სხვადასხვა ვადით მისცეს დისკვალიფიკაცია. დასჯილთა რიცხვში მოხვდნენ საქართველოს მსაჯთა კოლეგიის წარმომადგენლებიც, რომლებიც უმაღლესი ლიგის მატჩებს ემსახურებიან.

რა თქმა უნდა, შეცდომისგან დაზღვეული არავინაა, მით უმეტეს, ისეთ რთულ საქმეში, როგორიც ფეხბურთის მსაჯობაა. რთული სიტუაციები აქ თვალის დახამხამებაში ცვლის ერთმანეთს, მსაჯმა კი იმ წამსვე, მყისვე უშეცდომოდ უნდა შეაფასოს მდგომარეობა და ერთადერთი, ზუსტი გადაწყვეტილება გამოიტანოს. და ეს მაშინ, როცა რომელიმე სამსაჯო კაზუსის განხილვისას ვიდეომაგნიტოფონზე ჩაწერილ კადრს რამდენიმეჯერ იმეორებენ და გამსინჯავი კომისიის სპეციალისტებსაც კი ვერ მიუგნიათ სწორი გადაწყვეტილების, ერთიანი აზრისთვის. ამგვარი რამ ხდება, მაგრამ ახლა ამაზე არა გვაქვს ლაპარაკი. საქმე ეხება მსაჯთა მხრივ თამაშის წესების მცდარ ინტერპრეტაციას, იმ ტიპიურ შეცდომებს, რომლებიც არსებითად ეწინააღმდეგება ფეხბურთის სწორი არბიტრობის ლოგიკას. ხშირად ხდება, რომ ჩვენს მსაჯებს თამაშის წესის ერთი და იგივე პუნქტი განსხვავებულად ესმით და, შესაბამისად ამისა, სხვადასხვანაირი გადაწყვეტილებაც გამოაქვთ.

მაგალითად, ფეხბურთელმა წინასწარი განზრახვით, მოფიქრებულად, მეტოქის შეტევის ჩაშლის მიზნით ხელით დაიჭირა ბურთი, ან წააქცია (ხელით შეაკავა) მეტოქე. ასეთ დროს მსაჯმა უნდა დააჯარიმოს დამნაშავე და ყვითელი ბარათი აჩვენოს მას. ეს გარკვევით წერია საფეხბურთო კოდექსში. მაგრამ ჩვენი არბიტრები ასეთ შემთხვევაში ხშირად მხოლოდ ჯარიმით იფარგლებიან და არ მიმართავენ უფრო გადამჭრელ, წესებით დადგენილ ზომებს. სხვადასხვა მსაჯი რად გინდათ, ზოგჯერ ერთი და იგივე არბიტრიც კი ერთ თამაშში, იდენტური დარღვევებისას ხან აჩვენებს ყვითელ ბარათს დამნაშავეს, ხან არა.

სერიოზული წინააღმდეგობებია 11-მეტრიანის დანიშვნისას. ფეხბურთელის ერთი და იგივე დანაშაულისას ზოგიერთ მსაჯს პენალტის ვერდიქტი გამოაქვს, ზოგიერთები კი საერთოდ უყურადღებოდ ტოვებენ წესის დარღვევის აშკარა ფაქტს.

ბევრი ჩვენი მსაჯი სრულ უმწეობას იჩენს ფეხბურთელთა უხეში თამაშის დროს. ერთხელ აპატიებს მოთამაშეს უხეშობას, ორჯერ, სამჯერ, მაგრამ დაზარალებულის საპასუხო რეაქციისას, მაშინვე მიმართავს ყვითელ ბარათს და ფაქტიურად ისე გამოდის, რომ უხეში ფეხბურთელი ხელშეუხებელი რჩება, წონასწორობიდან გამოსული, დაზარალებული მოთამაშე კი დაუყოვნებლივ ისჯება.

მსაჯთა ასეთი ლიბერალიზმი გაუგებარი და გაუმართლებელია. უხეშად, ტლანქად მოთამაშე ფეხბურთელებს სისტემატურად გამოჰყავთ მწყობრიდან მაღალი კლასის ოსტატები, „შავ საქმეთა“ ამ სპეციალისტებს ყველა კარგად იცნობს, მატჩის მსვლელობაში ტრიბუნებიდან ხშირად გაისმის მაყურებელთა აღშფოთებული პროტესტები, მსაჯი კი გულდინჯად, ოლიმპიური სიმშვიდით შესცქერის იმ უხამსობას, თუ როგორ უსწორებენ ანგარიშს წესრიგის დამრღვევნი პირველხარისხოვან ფეხბურთელებს.

წარსული წლებისგან განსხვავებით ახლა ჩვენ არა გვყავს ნამდვილად მაღალი კვალიფიკაციის, სანიმუშო, საქმის ზედმიწევნით მცოდნე, დამსახურებული ავტორიტეტიანი არბიტრები. ვერ დავასახელებთ ვერც ერთ ისეთს, ეტალონად რომ გამოდგებოდეს სხვებისთვის. ზოგიერთმა მათგანმა, ვინც სანიმუშოდ მიგვაჩნდა, დისკვალიფიკაციაც კი დაიმსახურა შეცდომებისა თუ დანაშაულისთვის (მაგალითად, განვლილ მსოფლიო ჩემპიონატზე).

მსაჯები რომ მთლად ობიექტურნი არ არიან, ამაზე ნათლად მეტყველებს მასპინძელი და სტუმარი გუნდების ერთმანეთთან შეხვედრათა ზოგიერთი მაჩვენებელი. არავინ დაობს იმაზე, რომ მასპინძელ ფეხბურთელებს გარკვეული, საგრძნობი უპირატესობა აქვთ ჩამოსულ გუნდთან შედარებით. (ამას ხელს უწყობს შეჩვეული ატმოსფერო, ნაცნობი მინდორი, მაყურებელთა აქტიური მხარდაჭერა, საკუთარ გულშემატკივართა წინაშე თავის გამოჩენის ბუნებრივი სურვილი და ა. შ.), თამაში, როგორც წესი, მათი უპირატესობით, აქტიური იერიშებით მიმდინარეობს. ყველაფერი ეს ცხადი და გასაგებია, მაგრამ თუ მასპინძელი გუნდის ამ მორალურ ხელშემწყობ ფაქტორებს მსაჯის მიკერძოებული სასტვენიც თან ერთვის, საქმე ზოგჯერ იქამდე მიდის, რომ სტუმრად ჩასული გუნდი წინასწარაა განწირული წასაგებად.

ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისად შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითები. წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში (უმაღლესი ლიგა) 26 მარტიდან 19 ივნისამდე მსაჯებმა სულ 25 პენალტი დანიშნეს, აქედან 23 მასპინძელთა სასარგებლოდ და მხოლოდ 2 სტუმრების „საწყალობლად“. ჩვენ ხომ ვუყურებთ უმაღლესი ლიგის მატჩებს უშუალოდ მინდორზეც და ტელევიზიითაც და კარგად ვიცით, რომ ძალთა შეფარდება არასოდეს არაა ისეთი, რომ პენალტი 23-ჯერ მინდვრის მფლობელთა სასარგებლოდ ინიშნებოდეს და მხოლოდ ორჯერ — სტუმრებისა. რამდენიც არ უნდა გვიმტკიცონ, რომ ყოველ გუნდს შინ დიდი უპირატესობა აქვს ჩამოსულ მეტოქესთან, ეს ყოვლად შეუსაბამო ციფრები 23 და 2 ნათლად მეტყველებენ, რომ ჩვენი არბიტრები გაცილებით უფრო მეტ დარღვევას „ამჩნევენ“ სტუმრების საჯარიმოზე, საპირისპირო შემთხვევებში კი ავიწყდებათ ის ელემენტარული პრინციპი, რომ ფეხბურთში ორივე მებრძოლ მხარეს თანაბარი უფლებები აქვს და წესებიც, სხვათა შორის, ორივესთვის ერთნაირია.

ანდა, ავიღოთ პირველი წრის შედეგები I ლიგის საკავშირო გათამაშებაში. ამ ეტაპზე სულ ჩატარდა 231 მატჩი, აქედან 134 მოიგეს მასპინძლებმა და მხოლოდ 35 — სტუმრებმა (62 ფრე). აშკარა შეუსაბამობაა. მასპინძლებმა გაიტანეს 395 ბურთი, სტუმრებმა კი ორჯერ ნაკლები — 188. ცხადია, მსაჯები, ნებსით თუ უნებლიედ, იმათ ემხრობიან, სადაც მსაჯობენ.

უბრალო მაგალითი: კრასნოდარის „ყუბანმა“ მეორე წრეში შინ ნამდვილი „ბართლომეს ღამე“ გაუთენა მოგილიოვის „დნეპრს“ — 8:1, პირველ წრეში კი ვერაფერი გააწყო მოგილიოვში და დამარცხდა — 0:1.

რა თქმა უნდა, ცალკეული მაგალითებით და მოსახერხებელი ციფრებით ასე იოლად ვერ გადაწყვეტ „სტუმარ-მასპინძლობის“ რთულ პრობლემებს, კატეგორიული მტკიცებაც გვიჭირს, მაგრამ მსაჯების გარკვეული ხელშეწყობა რომ მასპინძელ გუნდებს აქვთ, ეს კი უდავოა. ჩვენ მოვიყვანეთ უმაღლესი და პირველი ლიგების მაგალითები, შედარებით დაბალი რანგების შეჯიბრებებში კი ეს ფაქტორები უფრო საგრძნობია.

ფეხბურთის წესების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, მათი გონივრული გამოყენება, კვალიფიციური, მიუკერძოებელი მსაჯობა დიდად უწყობს ხელს ფეხბურთის პროგრესს, ჩვენ აუცილებლად გვჭირდება ავტორიტეტიანი, განსწავლული არბიტრები, რომლებმაც თავიანთი პირადი მაგალითით უნდა აღზარდონ მსაჯთა ახალი, საქმის მცოდნე, კვალიფიციური კადრები.

ნ. ჩხატარაშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი,

ბ. ქორქია,
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 157.

ფეხბურთი-83 ფეხბურთი-83 ფეხბურთი-83 ფეხბურთი-83 ფეხბურთი-83

● მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში

„დედოფლის" მეჯლისი დასრულდა

ჰელსინკი. მძლეოსნობათა მსოფლიო ჩემპიონატზე სიმაღლეზე მხტომელთა დავა 19 წლის ოდესელი გენადი ავდეენკოს ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, პირველ ცდაზე მან 232 სმ სიმაღლე დაძლია.

ჯერ კიდევ გასულ სეზონში, ეს ათლეტი არ ჩანდა მსოფლიოს 25 უძლიერეს მხტომელთა შორის. იგი დაიბადა 1963 წლის 4 ნოემბერს, შარშან დაამთავრა ოდესის კოოპერაციული ტექნიკუმი. მძლეოსნობას 11 წლის ასაკიდან მისდევს. სიმაღლეზე ხტომა 1980 წელს სცადა (მანამდე მხოლოდ სამხტომში ვარჯიშობდა).

ერთი წლის შემდეგ გენადიმ სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა ქვეყნის ჭაბუკთა ზამთრის პირველობაზე. ლენინგრადში, ალექსეევის მემორიალზე გამარჯვების (228 სმ) შემდეგ ახალგაზრდა მხტომელს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა.

— მართალი გითხრათ, არ მეგონა, ჰელსინკში თუ გავიმარჯვებდი, — განაცხადა გენადიმ პრესკონფერენციაზე. — უბრალოდ, მინდოდა ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრების შესაფერი შედეგი მეჩვენებინა, ამიტომ ამ წარმატებას სიურპრიზად ვთვლი.

პროგრამის ამ სახეობაში მეორე ადგილზე გავიდა ამერიკელი ტაიკ პიკოკი, რომელსაც 232 სმ სიმაღლის დასაძლევად რამდენიმე ცდა დასჭირდა. „ბრინჯაო" დაიმსახურა ჩინელმა სპორტსმენმა ჩჟუ ცზიანხუამ. მან, როგორც ჩვენმა სპორტსმენმა იგორ პაკლინმა, 229 სმ სიმაღლე გადალახა, მაგრამ იგორთან შედარებით ნაკლები ცდა მოანდომა.

კვირას, შეჯიბრების დასკვნით დღეს, საბჭოთა სპორტსმენებმა 6 მედალი მოიპოვეს. ჭოკით ხტომაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა 19 წლის დონეცკელმა სერგეი ბუბკამ — 570 სმ, ვერცხლის ჯილდო წილად ხვდა ირკუტსკელ კონსტანტინე ვოლკოვს — 560. ჩვენმა კვარტეტმა (ტაშკენტელი ს. ლოვაჩევი, მოსკოველები ა. ტროშჩილო და ნ. ჩერნეცკი, ოლიმპიური ჩემპიონი, ნოვოსიბირსკელი ვ. მარკინი) 4X400 მეტრზე ესტაფეტაში საკავშირო რეკორდით გაიმარჯვა — 3.00,79.

1500 მეტრზე ქალთა რბენაში ვერცხლის მედალი მოიპოვა ანდიჟანელმა ზ. ზაიცევამ — 4.01,19, „ბრინჯაო" კი ე. პოდკოპაევას (მოსკოვის ოლქი) ერგო — 4.02,25. ამ დისტანციაზე გაიმარჯვა მ. დეკერმა (აშშ) — 4.00,90.

4X400 მეტრზე ქალთა ესტაფეტაში საბჭოთა სპორტსმენები „ბრინჯაოს" დასჯერდნენ — 3.21,16. აქ საუკეთესონი იყვნენ გდრ-ის სპორტსმენები — 3.19,73.

ტექნიკური შედეგები. ვაჟები. სიმაღლეზე ხტომა. 1. გ. ავდეენკო (სსრ კავშირი) — 232 სმ, 2. ტ. პიკოკი (აშშ) — 232, 3. ჩ. ცზიანხუა (ჩინეთი) — 229, 4. ი. პაკლინი — 229... 8. ვ. სერედა (ორივე — სსრ კავშირი) — 226.

ათჭიდი. 1. დ. ტომპსონი (დიდი ბრიტანეთი) — 8666 ქულა, 2. ი. ჰინგსენი — 8561, 3. ზ. ვენცი (ორივე — გფრ) — 8478... 6. ნევსკი (სსრ კავშირი) — 8201.

110 მ თარჯრბენი. 1. გ. ფოსტერი (აშშ) — 13,42, 2. ა. ბრიუგარე (ფინეთი) — 13,46, 3. უ. გოლტი (აშშ) — 13,48.

ქალები. 100 მ. თარჯრბენი. 1. ბ. იანი — 12,35 (მსოფლიო რეკორდი), 2. კ. კნაბე (ორივე — გდრ) — 12,42, 3. გ. ზაგორჩევა (ბულგარეთი) — 12,62, 4. ნ. პეტროვა — 12,67... 6. ე. ბისეროვა (ორივე — სსრ კავშირი) — 12,80.

შუბის ტყორცნა. 1. ტ. ლილაკი (ფინეთი) — 70,82 მ, 2. ფ. უიტბრედი (დიდი ბრიტანეთი) — 69,14, 3. ა. ვერული (საბერძნეთი) — 65,72.

დიდი ანგარიშით...

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 13 აგვისტო.

„სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) 5:1 (3:0).

„სპარტაკი": დასაევი (მიხალიჩევი), სოჩნოვი, პოზდნიაკოვი, გუბნოვი, მილეშკინი, კუზნეცოვი, რეზნიკი (შვეცოვი), მოროზოვი, გავრილოვი, ჩერენკოვი, გესი.

„დინამო": აბუსერიძე, ყიბა (ბარათაშვილი), ჩივაძე, კერესელიძე (პაიჭაძე), ფრუიძე, კაკილაშვილი, ხვანაძე, სულაქველიძე, ჩქარეული, ცაავა, შენგელია.

მსაჯი: ვ. კუზნეცოვი (ომსკი).

„სპარტაკმა" პირველ ტაიმშივე მოახერხა ანგარიშში საკმაოდ სოლიდური უპირატესობის მოპოვება. გუნდი თამაშობდა სწრაფად, ბევრს მოძრაობდნენ ნახევარმცველები და ფორვარდები და ამის გამო იყო, რომ საჭირო დროსა და საჭირო ადგილზე ქმნიდნენ კიდეც რიცხობრივ უპირატესობას. თბილისის „დინამომ" ვერაფერი დაუპირისპირა მასპინძელთა ტაქტიკას და სავსებით კანონზომიერად დამარცხდა დიდი ანგარიშით.

მე-14 წუთზე გავრილოვ-რეზნიკი-გავრილოვის კომბინაცია გოლით დასრულდა. რამდენიმე წუთის შემდეგ სიტუაცია თითქმის განმეორდა და გავრილოვმა მეორე ბურთი გაიტანა თბილისელთა კარში (ამჯერად მილეშკინის გადაცემის შემდეგ). შესვენებამდე მასპინძლებმა სამამდე გაზარდეს ანგარიში (ჩერენკოვი). რა თქმა უნდა, არავინ უკარგავს სპარტაკელებს დამსახურებას, მაგრამ სტუმართა დაცვისა და ნახევარდაცვის უხეირო თამაშმა ერთობ გააიოლა საქმე.

შესვენების შემდეგ შენგელიას გოლს თითქოს გარდატეხა უნდა შეეტანა თამაშში, მაგრამ მალე „სპარტაკმა" ისევ უმატა ტემპს, ისევ იმატა თბილისელთა კართან სახიფათო მომენტებმა და რეზნიკმა და ჩერენკოვმა მე-60 და 61-ე წუთებზე 5:1-მდე გაზარდეს ანგარიში.

(„ლელოს" კორ.).



ლა-კორუნიეს ტურნირზე

ესპანეთის ქალაქ ლა-კორუნიეში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიაც IV ადგილი აიღეს კიევის დინამოელებმა.

პირველი მატჩი „დინამომ" წააგო ურუგვაის „პენიაროლთან" (მონტევიდეო), ძირითადი დრო ფრედ 0:0 დამთავრდა, მაგრამ პენალტების სერიით გაიმარჯვა „პენიაროლმა" — 5:3. III ადგილისთვის ბრძოლაში მადრიდის „რეალთან" პირველი ტაიმის შემდეგ კიეველები წინ იყვნენ 2:0 (ორივე ბურთი ბურიაკმა გაიტანა). შესვენების შემდეგ „რეალის" მწვრთნელმა დი სტეფანომ სამი მოთამაშე შეცვალა. ამან გარდატეხა შეიტანა თამაშში და ესპანელებმა შეძლეს სამი ბურთის გატანა — 3:2. ტურნირში გაიმარჯვა ბილბაოს „ატლეტიკომ", რომელმაც ფინალში დაამარცხა „პენიაროლი" 1:0. ასეთივე ანგარიშით მან მოუგო „რეალსაც".

„შახტიორის" პირველი მატჩი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად იმყოფება დონეცკის „შახტიორი". სტუმრებმა პირველი მატჩი გამართეს პეკინში ადგილობრივ ნაკრებთან. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 0:0. სტადიონზე შეკრებილი 80.000 მაყურებელი გულთბილად მიესალმა საბჭოთა ფეხბურთელებს.

პრიზიორები

25 ივლისიდან 4 აგვისტომდე ქ. კახოვკაში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს საკავშირო პირველობა ფეხბურთში. გათამაშებაში მონაწილეობდა 12 გუნდი. I ქვეჯგუფში გამოდიოდნენ მოსკოვის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, ლენინგრადისა და საქართველოს, ხოლო მეორეში — უკრაინის, რსფსრ-ს, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთისა და ლატვიის გუნდები.

პირველ ქვეჯგუფში გაიმარჯვეს საქართველოს ფეხბურთელებმა, ხოლო მეორეში — უკრაინელებმა. ფინალური შეხვედრა მოიგეს უკრაინელებმა — 3:0, საქართველოს გუნდი მეორე ადგილზე გავიდა.

ჩვენი რესპუბლიკის „შრომითი რეზერვების" ნაკრები დაკომპლექტებული იყო თბილისის №95 და რუსთავის №3 პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებით, გუნდს ხელმძღვანელობდნენ მ. ანთიძე, ჯ. ნოდია და მ. გოგოლაძე.

ნ. ბერიშვილი,

„შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს სპორტთამაშების განყოფილების უფროსი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

• • •

სურათზე: საქართველოს „შრომითი რეზერვების" ფეხბურთელთა ნაკრები.

ავტორის ფოტო.

დინამოელთა პირველობა

ბათუმში ერთ კვირას გაგრძელდა სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა 1968-69 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ზუგდიდისა და გაგრის გუნდები.

ნორჩმა თბილისელმა ფეხბურთელებმა მოიგეს ყველა შეხვედრა და პირველი ადგილი დაიკავეს. მომდევნო ადგილებზე არიან ზუგდიდისა და ქუთაისის კოლექტივები.

ო. მურვანიძე,
(„ლელოს კორ.)

პანორამა

● ჭადრაკი

კოლუმბიაში მიმდინარეობს ჭაბუკ მოჭადრაკეთა (16 წლამდე) მსოფლიო ჩემპიონატი. გამარჯვებული ტურნირის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე გახდა ცნობილი — ესაა ქელეზნოვოდსკელი ა. დრეევი, რომელმაც IX ტურში დაამარცხა კუბელი პ. პანეკა, მოაგროვა 8,5 ქულა და მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა. უახლოეს მეტოქეს დრეევი 2,5 ქულით უსწრებს. საშუალო სკოლის მოსწავლე ა. დრეევი მხოლოდ 14 წლისაა.

● შაში

ჰოლანდიის ქალაქ დევენტერში მიმდინარეობს ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში.

5 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეულში არიან: ვ. ვირნი (სსრ კავშირი) — 5,5 ქულა, ვ. შჩოგოლევი (სსრ კავშირი) და ი. სტოკელი (ჰოლანდია) — 4,5-4,5.

● რეგბი

13 აგვისტოს მოსკოვში „ფილის" სტადიონზე სსრ კავშირის ნაკრების სპორტსმენებმა დამაჯერებლად მოიგეს (18:3) სსრ კავშირის რეგბის ფედერაციის თასის გათამაშების X საერთაშორისო ტურნირის სასტარტო მატჩი პროფკავშირთა ნაკრებთან. მეორე შეხვედრა იტალიისა და პოლონეთის ნაკრებებს შორის ფრედ, 7:7 დამთავრდა.

წინასწარი ტურნირის მატჩებს გუნდები ერთ წრედ გამართავენ. 20 აგვისტოს კი ორი საუკეთესო ნაკრები I ადგილისთვის ფინალურ მატჩს გაითამაშებს. (საკდესი).

● კალათბურთი

ესპანეთის საკურორტო ქალაქ პალმა-დე-მალიორკაში დაიწყო იუნიორ კალათბურთელთა II მსოფლიო ჩემპიონატი. ჯერ ქვეჯგუფში გაიმართება შესარჩევი შეხვედრები, I-II ადგილებზე გასული გუნდები ჩემპიონატის მასპინძლებთან — ესპანელებთან და მსოფლიოს ახლანდელ ჩემპიონ აშშ-ის ნაკრებთან ერთად გააგრძელებენ ბრძოლას მედლებისთვის.

ჩვენთვის ცნობილია პირველი დღის შეხვედრათა რამდენიმე შედეგი: სსრკ-ანგოლა — 114:53, ჩინეთი-ბრაზილია — 86:83, არგენტინა-კანადა — 104:94, იუგოსლავია-დომინიკის რესპუბლიკა — 98:89.

სხვათა შორის ● **იდეალური ჰოკეისტი**

ციურიხის გაზეთ „შპორტის" თანამშრომელმა კრაუს ცაუგმა საგანგებოდ შეისწავლა მსოფლიოს უძლიერესი ჰოკეისტების ფიზიკური მონაცემები და ასეთ დასკვნამდე მივიდა:

— იდეალური ჰოკეისტი დაბალი უნდა იყოს, მაგრამ ძლიერ განვითარებული მუსკულატურით, ისეთი წონის, რომელიც აღემატება მისი სიმაღლისათვის იდეალურად მიჩნეულს.

ცაუგი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ნაკრების 7 მოთამაშე 177 სმ-ზე დაბალია, კანადის ნაკრების სამი უძლიერესი მოთამაშე კი 174 სმ-ზე უფრო დაბალი. ყველა მათგანს ნორმალურზე მეტი წონა აქვს. ასე მაგალითად, ევგენი მაკაროვი 173 სმ-ის სიმაღლისაა და 80 კგ-ს იწონის. კანადელი მარსელ დიონი 171 სმ სიმაღლისაა, 86 კგ-ს იწონის (ასეთი სიმაღლის კაცის იდეალური წონაა 65 კგ). ჩეხოსლოვაკიელი ლალა 175 სმ-ს სიმაღლისაა, იწონის 89 კილოგრამს.

ცაუგი, ადგენს რა ასეთ წესს, შენიშნავს, რომ ერთადერთ გამონაკლისს ამ მხრივ შეადგენს კანადის ყველაზე გამოჩენილი მოთამაშე უვინ გრეცკი. იგი 180 სმ სიმაღლისაა და მხოლოდ 78 კგ-ს იწონის.

„სპორტლოტო"

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 6 აგვისტოს შემდგარი „სპორტლოტოს" მორიგი, 32-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (15 ბარათი) მოგება 2476 მანეთია, ოთხისთვის (669 ბარათი) — 59, სამისთვის (13821 ბარათი) — 4.

„სპორტლოტო 5 36"-დან: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (22 ბარათი) მოგება 7866 მანეთია, ოთხისთვის (2699 ბარათი) — 117, სამისთვის (75106 ბარათი) — 5.

მოგებული თანხის განაღდება — 17 აგვისტოდან 17 სექტემბრის ჩათვლით.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის. 29. ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 07715